კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ზვიადაძე

რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებში: ცივილიზაციათა შეჯახების რეალიები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში

სამეცნიერეო ხელმძღვანელი:
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის აკადამიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი. 0141, საქართველო
2021

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები: **1. ლიანა მელიქიშვილი**
ისტორიის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ეროვნული
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი

2. თამარ კიკნაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 10 ნოემბერს, 15.00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა#73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია

დისერტაციის გაცნობა შეიძლება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი პეტრე მამრაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა: 21-ე საუკუნეში გლობალიზაცია უკვე მსოფლიო სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც ცალსახად განსაზღვრავს ქვეყნების ერთმანეთზე დამოკიდებულების მასშტაბს, ცვლის მათი „შერწყმის“ პარამეტრებს, ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის გაერთიანებას ტრანსნაციონალურ სტრუქტურებში. გლობალიზაციის დახმარებით იმსხვრევა ყველა ის წინაღობა, რაც დაბრკოლებას უქმნის კაპიტალის მოძრაობას, ტექნოლოგიებს, ინტელექტუალურ მიღწევებს, ინფორმაციასა და კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. საერთაშორისო მასშტაბებით ეს საშუალებას იძლევა ყველა ინტერნაციონალური სტრუქტურა გააერთიანოს საერთო ხედვითა და პერსპექტიული მიმართულებებით. მსგავს პირობებში წინა პლანზე იწევს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ტექნოლოგიური და სოციალური ინფორმაციის ათვისება, მუდმივად ცვალებად ტრანსნაციონალურ გარემოში სწრაფად მოქმედების შესაძლებლობა, საზოგადოების ინფორმაციის მასშტაბები და აგრეთვე, ინტელექტუალური და პოლიტიკური თავისუფლება – როგორც თანამედროვე საზოგადოების თავისუფალი მოქმედებისა და განვითარების საფუძველი. გლობალიზაციის ფარგლებში, გარკვეულწილად, კნინდება ისეთი ცნება, როგორიცაა ნაციონალური სუვერენიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის გათვალისწინებით, მთავარ მოქმედ სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფოები მოიაზრებოდნენ, თუმცა ამჟამად ფორმირების სტადიაში იმყოფება ახალი, უფრო რთული მსოფლიო სისტემა. მასში, ერ-სახელმწიფოებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს. ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, სადაც ნაციონალურ ინტერესებზე გავლენას ახდენს საერთაშორისო ვალდებულებები და ნორმები. გლობალიზაციაში ჩართვა, აგრეთვე, ნიშნავს ღირებულებების იმგვარი სისტემების აღიარებას, რომლებიც ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობის მიზნით, ქმნის განსხვავებულ კულტურულ და სამართლებრივ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში კონკრეტულ ქვეყნებს თითქმის მთლიანად ერთმევათ შესაძლებლობა ტრადიციული გზით განვითარებისა. ყოველი კონკრეტული ქვეყნისთვის ეკონომიკური წარმატებები და სოციალური პრობლემების დაძლევა, უმეტესწილად, იმაზე ხდება დამოკიდებული, თუ როგორი იქნება შეგუების პროცესი ახალ მსოფლიო რეალიებთან, ანუ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა შეუერთდნენ გლობალიზაციის პროცესს, ან უარი თქვან მასზე, მიუხედავად ეკონომიკური წარუმატებლობის და სტაგნაციის საფრთხისა. ისიც უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის პროცესში ისევ აქტუალურია საკითხი შრომის ეფექტიანი გადანაწილების გზების მოძიებასთან დაკავშირებით.

გლობალიზაციის განვითარების პირობებში, მართალია, სახელმწიფოს როლი თანდათანობით სუსტდება, თუმცა იგი მაინც რჩება მთავარ პოლიტიკურ აქტორად, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების დინამიკასა და რაობას. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი სახელმწიფო ზრუნავს თავის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს იგი. მაგრამ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსაც კი არ აქვს სრული გარანტია, რომ მისი ეროვნული უსაფრთხოება არ აღმოჩნდება გამოწვევების წინაშე იმის გათვალისწინებით, რომ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მისი მეზობელი სახელმწიფოები ინტენსიურად მიისწრაფვიან სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისა და უსაფრთხოების განმტკიცებისაკენ.

ამგვარად, ყველა სახელმწიფო, სურს მას ეს თუ არა, იძულებულია გაზარდოს თავისი სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ალექსანდრე რონდელი აღნიშნავს: ,,საფრთხე არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ხშირად იგი ძალზე სუბიექტურად და ყველას მიერ განსხვავებულად აღიქმება. უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტიც ახასიათებს, რაც მის ობიექტურ შეფასებასა და აღქმას მეტად ართულებს და, ხშირ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების

პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას, არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს”[1]. ამიტომაც, თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მსოფლიო წესრიგის პირობების საკითხს, რაც ამ წესრიგის შემადგენელი სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ამ ეტაპზე უკვე შემოდის გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრის ცნება, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული წესრიგის პირობებს. 2014 წელს განვითარებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე (უკრაინაში დაწყებული „ფერადი რევოლუცია“, ყირიმის ანექსია, „არაბული გაზაფხული“) დაიწყო მსოფლიო წესრიგის მულტიპოლარულობისკენ სწრაფვა. დღეს არსებული მსოფლიო წესრიგის პირობებში გამოიკვეთა აშშ-ს, ევროკავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური გავლენის ნიშნები. საგულისხმოა, რომ იკვეთება ე.წ. „ცივილიზაციური“ ფენომენის კონტექსტში ბიპოლარული სამყაროსკენ მისწრაფება, რაც, ერთი მხრივ, აშშ-ისა და ევროკავშირის სახით დასავლეთის გეოპოლიტიკური ცენტრის, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახით არსებობას გულისხმობს. ამიტომაც, ახალი მსოფლიო წესრიგის შესწავლის თვალსაზრისით, ამ ფაქტორების გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია.

21-ე საუკუნის დასაწყისში გამოკვეთილმა ტენდენციამ, რომ შექმნილიყო „ტრანს-ატლანტიკური“ კავშირი ევროკავშირსა და აშშ-ს შორის საერთო თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების გაფორმებით, დაადასტურა „დასავლეთის“, როგორც გეოპოლიტიკური აქტორის, არსებობა. ცნება „დასავლეთი“ გამოჩნდა გეოპოლიტიკურ ლექსიკონში „ცივი ომის“ პერიოდში და ადგილი დაიმკვიდრა ფორმატის - ნატო+ევროკავშირი+აშშ - ფარგლებში. თუმცა, „ცივი ომის“ შემდეგდროინდელ ეპოქაში გაჩნდა ახალი ტენდენცია, კერძოდ, კაცობრიობის კულტურული პლურალიზმი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში

[1] ალექსანდრე რონდელი, „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006, გვ.124-125

შეიძლება შეინიშნებოდეს სირთულეები და, შესაძლოა, მსოფლიოს კულტურული განსხვავებულობა სხვადასხვა ცივილიზაციას შორის დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ამერიკელი პოლიტოლოგის, სემუელ ჰანტინგტონის შეხედულებები. მან 1993 წელს გამოცემულ თავის გახმაურებულ სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“ კაცობრიობის შემდგომი განვითარების და, მაშასადამე, საერთაშორისო საზოგადოების ევოლუციის თავისებური კონცეფცია შეიმუშავა. ჰანტინგტონის აზრით, გლობალური კონფლიქტების მთავარი გამომწვევი მიზეზი თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში იქნება არა იდეოლოგიური ან ეკონომიკური ხასიათის, არამედ კულტურული. სუვერენული სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ აქტორებად, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი კონფლიქტები სხვადასხვა ცივილიზაციის ქვეყნებსა და დაჯგუფებებს შორის მოხდება. ამიტომ ცივილიზაციებს შორის საზღვრები მომავალში შეიძლება „ფრონტის ხაზებად“ იქცეს. ყველა კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობდა ვესტფალიის ზავის (1648 წელი) შემდეგ „ცივი ომის“ ჩათვლით, დასავლური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა, ხოლო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკაში დაპირისპირება იწყება განსხვავებულ ცივილიზაციებსა და კულტურებს შორის. დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენელთათვის საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ მოქმედი პირი ერი-სახელწიფოა, მაგრამ ეს კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე საუკუნის ისტორიაა. ჰანტიგტონის კონცეფციის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ეტაპზე მხოლოდ ექვსი ცივილიზაციაა, თუმცა სავსებით შესაძლებელია გამოვყოთ ის შვიდი ან რვა ძირითადი ცივილიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს მომავალი განვითარების ხასიათს: დასავლური, კონფუციური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, იაპონური, ისლამური, ლათინოამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული; თუმცა დასავლური და ლათინოამერიკული ცივილიზაციები

შეიძლება ერთ კონტექსტში განიხილებოდეს[2]. ჰანტინგტონი ცივილიზაციათა შორის არ მოიხსენიებს იუდაისტურ ცივილიზაციას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის შემეცნებითი და კულტურული განვითარებისათვის, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იუდაიზმი არის ერთ-ერთი უდიდესი მონოთეისტური რელიგია. ჰანტინგტონი ცალკე გამოყოფს სლავურ-მართმადიდებლურ ცივილიზაციას, თუმცა ბიზანტიურ, ან, თუნდაც, რომაულ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციებზე არ ამახვილებს ყურადღებას (შესაძლებელია, რომ იგი ამ ცივილიზაციებს დასავლური ცივილიზაციის კონტექსტში მოიაზრებდეს).

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ მეცნიერთან ცივილიზაციათა აბსოლუტურად განსხვავებულ კლასიფიკაციას ვხვდებით[3], ხოლო ზოგიერთი ჰანტინგტონის ამ თეორიას, ისევე როგორც "ცივილიზაციათა შეჯახების" მისეულ კონცეფციას, არამეცნიერულს უწოდებს[4].

სემუელ ჰანტინგტონი წარმოგვიდგენს ცივილიზაციათა განსხვავებულ კლასიფიკაციას, ამდენად, მსოფლიო ცივილიზაციების მისეული დაყოფა ერთმნიშვნელოვნად არ არის გაზიარებული ყველა მეცნიერის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს იმ ეტაპების განხილვას, რომელთა ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ტერმინი „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორი" და, ასევე, იმ ხელშემწყობ მიზეზებსაც, რომლებმაც განაპირობა ამგვარი სახის აქტორების წარმოქმნა საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე. საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად განიხილება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის მოსალოდნელი ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წარმოშობა რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების საქმიანობის კონტექსტში.

---

[2] სემუელ ჰანტინგტონი, ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა, ინგლისურიდან თარგმნა ნინო ჩიქოვანმა, 2003.

[3] იხ.: Тойнби А. Дж. Постижение истории. Сборник. Пер. с англ. Е. Д. Жаркова. Москва, 2001; Oswald Spengler, Der Untergang des Abendlandes, I- 1918, II-1922; აჰმედ ალ ტადმურის მოსაზრებები იხ. წიგნში: Jeffrey Hayness, An Introduction To International Relations and Religion, 2007, p. 5-6.

[4] S.J. Thomas Michel, საერთაშორისო ფორუმის "გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი" მასალები, თბილისი, საქართველო, 2004, გვ.142.

ამიტომ, ვფიქრობთ, ნაშრომის სიახლე იქნება მკაფიო ანალიზი იმისა, თუ რას წარმოადგენს თავისი არსით "რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორი" და რა გავლენა აქვს რელიგიას საერთაშორისო ურთიერთობებზე.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე ახალი სახის აქტორების გავლენის ზრდა და მათგან მომდინარე საფრთხეების შესწავლა მნიშვნელოვანია, ასევე, სახელმწიფოს უსაფრთხოების კონტექსტში, საკითხის მნიშვნელობას განაპირობებს განსხვავებულ ცივილიზაციათა დიალოგის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კონტექსტში განხორციელებული პერსპექტიული საქმიანობის მიმართულებების გამოკვეთა, რადგან დღევანდელი მსოფლიო წესრიგის პირობებში იზრდება საერთაშორისო საზოგადოების როლი და ადგილი გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. თავის მხრივ, ამ საზოგადოების მიერ სტაბილურობის შენარჩუნებაში დიდი როლი ენიჭება რელიგიური გაერთიანებების საქმიანობას, რომლებიც განსაზღვრავენ ახალი იდეოლოგიური კონცეფციების გეოსტრატეგიულ დინამიკას. გარდა ამისა, საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორის – სახელმწიფოს მიერ გატარებული წარმატებული პოლიტიკური მართვის რეფორმების განხორციელება და ეფექტური გეოპოლიტიკური პირობების შექმნა მთავარი გარანტიაა ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში. ამიტომაც, რელიგიური ორგანიზაციების ფაქტორის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც არაიშვიათად, სახეზეა რეგიონული დონის სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების გლობალური დონის გავლენის ცენტრად გადაქცევის შემთხვევები, რასაც ადასტურებს, თუნდაც, „ისლამური სახალიფოს" მაგალითი. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანია ახალი გეოპოლიტიკური რეალიების სწორად აღქმა და გაანალიზება. ამ პროცესში, ასევე, მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მეთოდოლოგიური კვლევა ისეთი ფაქტორების შესწავლისას, როგორიცაა ცივილიზაციის როლი და გავლენა გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

კვლევის ძირითადი მიზნებია:

- არასახელმწიფოებრივი აქტორების არსის განსაზღვრა, ტიპოლოგიის ჩამოყალიბება და მათი ჩართულობის გამოკვეთა პოლიტიკის სამივე დონის (გლობალური, რეგიონული და ლოკალური) ანალიზისას;
- მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების ანალიზის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენა, რომლებიც ეფექტიანი იქნება, საქართველოსთვის არსებული ახალი მსოფლიო პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა ფაქტორისა და გარემოების გათვალისწინებით, ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა-ანალიზი;
- არასახელმწიფოებრივი აქტორების როლის განსაზღვრა და შესწავლა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის პირობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში;
- „რბილი ძალის“ ფენომენის შესწავლა და ანალიზი არასახელმწიფოებრივი აქტორების კონტექსტში.

სადოქტორო ნაშრომის ამოცანები:

- ვითარებათა ობიექტური შეფასება ახალი მსოფლიო წესრიგის ფონზე, რელიგიური და კულტუროლოგიური ფაქტორების ზრდა გეოპოლიტიკაში და ე.წ. „რბილი ძალის“ სტრატეგიის დომინანტობა ამ მიმართულებით;
- გლობალურ დონეზე მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის თავისებურებების წარმოჩენა მსოფლიო და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და ახალი გლობალური გამოწვევების ასახვა, რომლებიც გლობალური დონის პოლიტიკური სივრციდან შეიძლება განვითარდეს.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

1) როგორ და რა გზით განისაზღვრება არასახელმწიფოებრივი აქტორების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე?
2) როგორ/რატომ გაიზარდა რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი და ჩართულობა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში?
3) რა თავისებურებებით ხასიათდება „რბილი ძალის“ კონცეფცია და რა ფაქტორებით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით, რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით?
4) ვინ არიან „თანამშრომლობითი რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორები“ და როგორია მათი როლი „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ საერთაშორისო სტაბილურობის მიღწევის საქმეში?

კვლევის ჰიპოთეზა: პოსტმოდერნისტულ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების პროცესების არა მარტო პოლიტიკური ტრანსფორმაცია, არამედ ღირებულებითი, კულტუროლოგიური და ფილოსფიური სახის ძვრებიც მოხდა. შეიცვალა გეოპოლიტიკური მენტალიტეტი ამ პროცესებში მოქმედი აქტორებისა და, შესაბამისად, თვით აქტორების გარდაქმნის პროცესიც დაიწყო. გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში, როგორც საერთაშორისო რეჟიმის განმახორციელებელ ერთეულებში, წარმოიშვა ახალი სახის პოლიტიკური არქეტიპები, რომლებსაც,

პირობითად, უწოდებენ არასახელმწიფოებრივ აქტორებს. მათი კონცეპტუალური გენეზისი თვისობრივად განსხვავდება უკვე არსებული აქტორების ტიპოლოგიისგან. მათი პოლიტიკური პასიონარიზმის შინაარსის გარკვევა კვლავაც რჩება ფუნდამენტური კვლევის განხილვის ობიექტად, თუმცაღა, მათი ძირითადი იდეოკრატიული პარადიგმა იგება რელიგიური ცნობიერებისა და ღირებულებების ბაზისზე. საერთაშორისო ურთიერთობების ახალი აქტორები, განსაკუთრებით კი, არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორები, ასრულებენ დიდ როლს საერთაშორისო პოლიტიკის პროცესებში და ახდენენ გავლენას მსოფლიო წესრიგის პოლარულობის განსაზღვრაზე. ამავე დროს, მათ შეაქვთ თავიანთი წვლილი გლობალურ და რეგიონულ დონეებზე უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქმნიან საერთაშორისო სისტემის, ერთი მხრივ, გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა და, მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური სტაბილურობისა და თანამშრომლობის წინაპირობას. ამიტომაც, მათ ქმედებებს აქვთ „რბილი ძალის“ ეფექტი.

კვლევის საგანი: გეოპოლიტიკური ტრანზიციისა და ცივილიზაციათა შეჯახების პირობებში, თანამედროვე საერთაშორისო პროცესებისა და მასში მონაწილე აქტორების მოქმედებისა და გავლენის თავისებურებები.

კვლევის ობიექტი: არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების როლი გეოპოლიტიკური ტრანზაციის პირობებში და მათი გავლენა საერთაშორისო პროცესებზე, აგრეთვე „თანამშრომლობითი არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების“, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფენომენისა და როლის განსაზღვრა მშვიდობის დამკვიდრების საქმეში.

კვლევის მეცნიერული სიახლე: კვლევის წარმოებისას გამოიკვეთა რამდენიმე სამეცნიერო სიახლე, მათ შორის, ტერმინოლოგიური შინაარსისა, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს შემდეგი კვლევების დამუშავებისას. მათგან გამოსაყოფია შემდეგი:

1)საქართველოში პირველად შეიქმნა ნაშრომი მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევების ფორმატში (მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერების, გეოპოლიტიკის, უსაფრთოების კვლევების, გეოსტრატეგიული კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების და ა.შ.). გამოიკვეთა, თუ როგორ შეიცვალა გლობალური გეოპოლიტიკური გარემო და რა როლს ასრულებს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის განმტკიცების საქმეში „რბილი ძალის" კონცეფცია და ამ კონტექსტში, ერთი მხრივ, რელიგიის გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ფაქტორის გათვალისწინება ახალი სახის ასიმეტრიული საფრთხეების ნიველირებისთვის.

2)შესწავლილია, ახალი აქტორების წარმოქმნის წინაპირობები, რომლებიც არ უკავშირდებიან სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ აქტორს, აგრეთვე გაანალიზებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისინი ამ პროცესებზე. სწორედ ამ კონტექსტში, წარმოდგენილ კვლევაში, პირველად არის განსაზღვრული ტერმინი „არასახელმწიფოებრივი აქტორი", ასევე, მისი კიდევ უფრო გათანამედროვებული ვარიანტი - „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორი" – (კლასიფიკატორი - აგრესიული და თანამშრომლობითი რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების სახით). დისერტაციაში პირველად იქნება ამ ტერმინების შემოტანის მცდელობა პოლიტიკურ ლექსიკონში და, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკის ტერმინოლოგიურ სივრცეში, რაც უაღრესად აქტუალური თემაა საქართველოს პირობებში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის საქმეში;

3)სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში პირველი მცდელობაა საქართველოში რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების გავლენის შესწავლისა უშუალოდ ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სისტემაში და მათი როლის განსაზღვრისა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისევე, როგორც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და შიდა-პოლიტიკური პოტენციალის გაძლიერების წარმოჩენისა, საქართველოს საპატრიარქოს მაგალითზე, რაც გულისხმობს, თუნდაც, განსაკუთრებული სტატუსის მქონე დოკუმენტის - კონსტიტუციური შეთანხების -

გაფორმებას და ეკლესიის გამორჩეული როლის გამოკვეთას ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება-განმტკიცების თვალსაზრისით;

4)ნაშრომის ფარგლებში, პირველად არის წარმოჩენილი „თანამშრომობითი უსაფრთხოების“ თეორიის ადაპტირების მოდელირება საერთაშორისო პოლიტიკის ფორმატში, რომელიც განხილულია თვისობრივად ახალი გეოპოლიტიკური მოდელირების კონტექტში. საყურადღებოა ისიც, რომ უსაფრთხოების კვლევების თვალსაზრისით, სამეცნიერო სიახლეა „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კოთეორიის განხილვა „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის ფარგლებში და მისი მისადაგება რელიგიურ არასახელმწიფოებრივი აქტორებთან.

5)სადისერტაციო კვლევაში წარმოჩენილია არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების პოზიტიური როლი გლობალური სტაბილურობის შენარჩუნებისა და დემოკრატიული ფასეულობების გავრცელების საქმეში. აქვე, გამოკვეთილია მათი ადგილი სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური ჰარმონიზაციის და კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ნაშრომში აღწერილია რელიგიის და სახელმწიფოს წარმატებული ურთიერთობის მოდელი საქართველოს საპატრიარქოს მაგალითზე.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია: კვლევაზე მუშაობის პროცესში, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვიყენებთ საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-თეორიული მიმართულებების სპეციალურ კონცეფციებზე აგებულ სხვადასხვა სახის მიდგომას. ვითვალისწინებთ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლების იმ სამეცნიერო პარადიგმებს, რომლებიც ეხმიანება რელიგიის ფაქტორების მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში.

მათგან გამოსაყოფია შემდეგი მიმდინარეობები:

რეალიზმის სკოლა;

ქრისტიანული რეალიზმის სკოლა;

ინგლისის სკოლა;

ლიბერალიზმის სკოლა;

კრიტიკული თეორიის სკოლა;

კონსტრუქტივიზმის სკოლა.

სადისერტაციო კვლევის მეთოდოლიგიური საფუძვლები ძალიან ფართო და ტევადია. ამიტომაც, ნაშრომში განვიხილავთ და ვაანალიზებთ აღნიშნული მიმართულებების კონცეფციებს. კვლევის ჰიპოთეზას ვამყარებთ საჰიპოთეზო კითხვებზე შესაბამისი არგუმენტირებული პასუხების გაცემით. ცალკე საკვლევ რაკურსად გამოვყოფთ საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ორ განსხვავებულ თეორიას:

1) სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“, რომელიც უშუალოდ განიხილავს, თუ რამდენად ფუნდამენტურია რელიგიების გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე და რამდენად შეუძლია ამ ფენომენს შეცვალოს მთლიანად სამყაროს გეოპოლიტიკური ლანდშაფტი გლობალურ დონეზე.

2) რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კონცეფციას, რომელშიც აღწერილია საერთაშორისო უსაფრთხოების ჩამოყალიბების რეალური განვითარების მოდელი და გამოთქმულია პროგნოზი, რომ ამ მოდელის მიხედვით გლობალური უსაფრთხოების პირობებს დაიცავენ და განსაზღვრავენ, სახელმწიფოებრივ აქტორებთან ერთად (სახელმწიფო, სახელმწიფოთშორისი ორგანიზაციები, სახელმწიფოებრივი კორპორაციები და ა.შ.), არასახელმწიფოებრივი აქტორებიც.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდები, ძირითადად, ეფუძნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც გულისხმობს მეცნიერული აკრიბიის მეთოდის - ლოგიკის ანუ არგუმენტირებული აზროვნების სისტემის გამოყენებას, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების, ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მივყავართ უტყუარ დასკვნამდე.

- შემთხვევის გარჩევა - Case study - დაგვეხმარა რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.

- ე.წ. „SWOT Analysis“-ის მეთოდი დაგვეხმარა არასახელმწიფოებრივი აქტორების ძლიერი და სუსტი მხარეების უკეთ წარმოჩენასა და მსოფლიო პოლიტიკაში მათი როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრაში.

ჩვენ მიერ წარმოებული ჩაღრმავებული ინტერვიუები არასახელმწიფოებრივ რელიგიურ აქტორებთან, რომლებიც ჩვენი კვლევის ფარგლებში შესწავლილი მოვლენების უშუალო მონაწილეები არიან, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. კვლევის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია მოვლენათა ე.წ. „პარალელური“ ანალიზი, რომელიც შეფასებათა საინტერესო სპექტრს იძლევა. იგი გულისხმობს ექსპერტთა სამიზნე ჯგუფების შექმნას, ეს მეთოდი მოვლენების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა და საუკეთესო საფუძველს ქმნის ვითარებითი ანალიზისათვის. გამოყენებული მეთოდოლოგიის მთავარი მიზანია საკითხების მრავალმხრივი და ანალიტიკური შესწავლა და, საბოლოოდ, სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც ეფუძნება ობიექტურ კვლევებსა და არგუმენტებს.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი გამოსადეგი იქნება ამ საკითხებზე მომუშავე ყველა მეცნიერის, პრაქტიკოსი ანალიტიკოსისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტისათვის. ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კურიკულუმებში. ნაშრომი დახმარებას გაუწევს გეოპოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულების სპეციალისტებს, სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურებისა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე უწყებების წარმომადგენლებს (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებული ანტი-ტერორისტული ცენტრი). ამასთან ერთად, ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ქართული მასმედიის როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ საშუალებებში დასაქმებული ჟურნალისტებისა

და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ხასიათის მოვლენების გაშუქებაზე მუშაობენ.

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისათვის, შესაძლებელია, საყურადღებო იყოს სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში კვლევის შედეგად შემუშავებული სპეციალური სახის რეკომენდაციები, რომლებშიც წარმოჩენილია, თუ რამდენად დიდია არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების ჩართულობა და როლი საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საფეხურზე.

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი საკითხები:

1) მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ტრანსფორმაცია და ამ პროცესში არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩართულობის როლის ზრდა;
2) არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ „რბილი ძალის“ გამოყენების ტენდენციები;
3) „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია არასახელმწიფოებრივი აქტორების საქმიანობის კონტექსტში.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა: საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული იქნება ყველა მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც კავშირი აქვს სადისერტაციო თემასთან, მიუხედავად იმისა, კონიუნქტურულია ის, თუ არა. წყაროებისას შერჩევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- კომპეტენტურობა
- ინფორმატიულობა
- ორიგინალური ხედვა
- სიღრმისეული ხედვა
- ხედვების მასშტაბურობა
- ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები

წყაროთა შეფასებისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მათგანი მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ზოგად შეფასებებს მოიცავს

(მაგალითად, სემუელ ჰანტინგტონის, ჯეფრი ჰეინესის, ტროი ტომასის, სტეფენ კისერის, ფარედ ზაქარიას, ვილიამ კესებეერის, კოლინ გრეის, რეშმი კაზიას და სხვების), ზოგიერთი კი, აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებებს ეხება (ფრედ მერკსის, იგორ ივანოვის და სხვების), სხვანი კი ძირითადი თემის მონათესავე საკითხებზე ქმნიან ნაშრომებს (მაგალითად: ვლადიმერ კულაგინი, ვლადიმერ დერგაჩიოვი, ვახტანგ მაისაია, გუგული მაღრაძე, კორნელი კაკაჩია, ნიკა ჩიტაძე და სხვები). საბოლოოდ, ჩვენ მიერ მოძიებული და დამუშავებული ყველა წყარო სხვადასხვა რაკურსით არის საინტერესო და გვეხმარება ანალიტიკური დისკურსის წარმართვაში.

სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადოქტორო ნაშრომი: „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებში: ცივილიზაციათა შეჯახების რეალიები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში“ წარმოდგენილია A4 272 გვერდად.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან, რომელიც 208 დასახელებას მოიცავს.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების და შესაბამისი ღონისძიებების განხირციელების შედეგად კიდევ უფრო დაფიქსირდება არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებში. გლობალიზაციის პირობებში ჩამოყალიბებულმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა განსხვავებული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება განაპირობა. საერთო მშვიდობის უზრუნველყოფაში განმსაზღვრელია პრევენციული ფაქტორები - კრიზისების მართვა თუ ცვალებადი თავდაცვითი ღონისძიებები. თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური თანამშრომლობით მიღებული გადაწყვეტილებები, აღნიშნულ პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, სახელმწიფოებრივი, არასახელმწიფოებრივი და, ასევე, აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორები.

საკვალიფიკაციო ნაშრომი განიხილავს, ერთი მხრივ, იმ ეტაპების განხილვას, რომელთა ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ტერმინი „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორი“, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მიზეზების გაანალიზებას, რომლებმაც განაპირობა ამგვარი სახის აქტორების წარმოქმნა საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე. ნაშრომში, აგრეთვე, შესწავლილია თუ რამდენად არის მოსალოდნელი ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წარმოშობა რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების საქმიანობის კონტექსტში. დისერტაციაში გაანალიზებულია რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებში, განსაზღვრულია ცივილიზაციათა შეჯახების რეალიები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში.

კვლევის შედეგად, სამი საკვლევი რაკურსის გათვალისწინებით (პოსტ-სეკულარული საერთაშორისო ურთიერთობების არსი და რელიგიური აღორძინების (Religious Resurgence) ფენომენი, არასახელმწიფოებრივი აქტორების არსი, განმარტება და მათი ტიპოლოგია, პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები და „ცივილიზაციური შეჯახების“ თეორიის რეალობა) განსაზღვრულია პოსტმოდერნისტული გეოპოლიტიკის ეპოქის დასაწყისი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის თავისებურება.

“რბილი ძალის“ სტრატეგიის რეალიზაციის ნეგატიური გამოვლენის გეოსტრატეგიული ასპექტები შესწავლილია აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების მაგალითზე, განხილულია მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების დილემა: რელიგია, დემოკრატიზაცია და „არაბული გაზაფხული” - „რბილი ძალის“ პოლიტიკური ენიგმა, გაანალიზებულია რელიგიური ტრანსეროვნული აქტორების გავლენა მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობებზე - „ალ-კაიდას“ ფენომენი 9/11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, წარმოჩენილია „ისლამური სახალიფოს“ საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის სპეციფიკა და „რბილი ძალის“ რელიგიური ფაქტორი.

დისერტაციაში გამოკვლეულია “თანამშრომლობითი“ არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების როლი მულტიპოლარულ სამყაროში, გაანალიზებულია პოსტ-ბიპოლარული პერიოდის “თანამშრომლობის უსაფრთხოების“ გეოპოლიტიკური მოდელირება - „თანამშრომლობითი“ არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების ფენომენის გეოპოლიტიკური ასპექტები, შესწავლილია გეოპოლიტიკური რენესანსი მე-20 საუკუნის კოლექტიური უსაფრთხოების პირობებში: ვატიკანის როლი გლობალურ პოლიტიკაში, ხოლო ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობის მოდელი წარმოჩენილია საქართველოს მაგალითზე.

კვლევამ ცხადყო, რომ რელიგიის როლი სულ უფრო მეტად იზრდება საერთაშორისო ურთიერთობებში. რელიგია, უმეტეს შემთხვევაში, არ არის მოქცეული ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში და მას განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

I თავის პირველ ქვეთავში, რომლის სათაურია ***„პოსტ-სეკულარული საერთაშორისო ურთიერთობის არსი და რელიგიური აღორძინების (Religious resurgence) ფენომენი“***, შესწავლილია სეკულარიზმისა და პოსტ-სეკულარიზმის ფენომენი, ისევე როგორც სხვადასხვა რელიგიასა და ცივილიზაციას შორის მშვიდობიან თანაარსებობასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში პოსტ-სეკულარიზმის ცნებამ მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა სოციალურ მეცნიერებებში. აღნიშნული ტერმინის პოლისემიურობა, ერთი მხრივ, აღწერს რელიგიურ ტრადიციებს და განსაზღვრავს, თუ რა გავლენა აქვს პოსტ-სეკულარიზმს თანამედროვე ეპოქაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი გულისხმობს როგორც კონცეპტუალური სააზროვნო სისტემის შემუშავებას, ისე ახალი პოლიტიკური მოდელის ჩამოყალიბების მცდელობას, რომელიც ასევე მოიცავს რელიგიურ შეხედულებებს. ამ მნიშვნელობით

პოსტ-სეკულარიზმი უკავშირდება ტერმინის ინოვაციურ გაგებას, რომელსაც ახასიათებს უფრო კრიტიკული მიდგომა ისეთი ღირებულებების მიმართ, როგორებიცაა: დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, ჩართულობა და სამართლიანობა. პოსტ-სეკულარიზმის კონტექსტში განხილულია მეცნიერების - ჩარლზ ტეილორისა და იურგენ ჰაბერმასის - კვლევების მნიშვნელობა პოსტ-სეკულარული თეორიის ანალიზის კონტექსტში.

ამავე ქვეთავში ცალკე კვლევა ეთმობა სეკულარიზმის არსსა და მის მნიშვნელობას, რაც, თავისი ყველაზე ფართო გაგებით, გულისხმობს ადამიანების ცნობიერებაზე რელიგიის გავლენის უკიდურესად შესუსტებას ან მის საერთოდ აღმოფხვრას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, რელიგიური მსოფლმხედველობის დაკნინებასა და რელიგიისა და აღმსარებლობის პირად საქმედ ქცევას, რომლის შედეგადაც რელიგია აღარ იქნება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აქტორი. აღსანიშნავია, რომ რელიგიისადმი ამგვარი დამოკიდებულება საყოველთაოდ გაზიარებული იყო საზოგადოებრივ მეცნიერებებში მთელი XX საუკუნის განმავლობაში. აღნიშნულ კონტექსტში წარმოჩენილია სოციალური მეცნიერებების დარგში XIX –XX საუკუნეთა წამყვანი მოაზროვნეების: ემილი დურკჰიმის (Emile Durkheim), მაქს ვებერის (Max Weber), კარლ მარქსის (Karl Marx), აუგუსტ კომტის (Auguste Comte), ზიგმუნდ ფროიდის (Sigmund Freud), ტალკოტ პარსონსის (Talcott Parsons) და ჰერბერტ სპენსერის (Herbert Spencer) - დამოკიდებულება სეკულარიზაციის ფენომენთან.

აღნიშნულია, რომ სეკულარიზაციის თეზისი ძირითადი პრეზუმფცია იყო დასავლური სოციალური მეცნიერებებისთვის ათწლეულების განმავლობაში, რომელიც საფუძვლად დაედო პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიას 1950-60-იანი წლების დასაწყისში და დამოკიდებულების თეორიას 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში.

ასევე, შესწავლილია ეკლესიისა და რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი დასავლეთ ევროპაში, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციების წინა პერიოდში, ასევე რევოლუციების ეპოქაში (XVIII-XIXსს.) . ამ პროცესს უშუალოდ უკავშირდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების - ლიბერალიზმის - აღმოცენება, რომელსაც უნდა დაპირისპირებოდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობს.

აღნიშნულია, რომ ლიბერალიზმი, რომელისთვისაც დამახასიათებელია ეკლესიის როლის დაკნინების ტენდენცია, საფუძველია სეკულარული სახელმწიფოს იდეისა და თავისი არსით ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ეკლესიურ, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

მსოფლიო პოლიტიკის რეალიზმის სკოლის ბევრი პოლიტიკოსი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოების პოლიტიკურმა ელიტებმა იდეოლოგიური საფუძვლებისთვის აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ ნეიტრალურობა იმ ფაქტორებთან მიმართებით, რომელიც მომდინარეობს პარტიკულარისტული რელიგიური თუ კულტურული გარემოსგან, თუკი მათ სურთ ააშენონ წარმატებული ერი-სახელმწიფო და განახორციელონ ასევე წარმატებული საგარეო პოლიტიკა.

სეკულარიზაციის უარყოფითი გავლენისა და ლიბერალიზმის საფრთხის კონტექსტში დამოწმებულია XIX-XX სს.-ის ცნობილი ქართველი მოაზროვნისა და პუბლიცისტის, არჩილ ჯორჯაძის, შეხედულებები. აქვე, ასევე აღნიშნულია, რომ კონსტანტინე დიდის (272-337), თეოდოსი დიდისა (347-395) და იუსტინიანე დიდის (482-565) ეპოქების შესწავლა, ისევე, როგორც საქართველოს ისტორიის ანალიზი, ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეკლესია არათუ აფერხებდა სახელმწიფოს წინსვლას, არამედ პირიქით, ხელს უწყობდა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ისევე, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

განხილულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიული ურთიერთობის წარმატებული მოდელი დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარის (1184-1213) ეპოქების შესწავლის საფუძველზე.

შესწავლილია სახელმწიფოსა და რელიგიას შორის დღეს მსოფლიოში არსებული ურთიერთობათა სისტემები. აღნიშნულია, რომ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში ტრადიციულ ეკლესიებს აქვთ მაღალი იურიდიული სტატუსი ისევე, როგორც განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა სხვა კონფესიებთან შედარებით, რომლებიც ყველაზე მაღალი სამართლებრივი სტატუსით დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელ სისტემებთან და ინსტიტუტებთან. ეს კი ცხადყოფს იმას, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სეკულარიზმის კლასიკური გაგება უცხოა განვითარებული ევროპული ქვეყნების ნაწილისათვის, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს როგორც დემოკრატიის განვითარების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურ სისტემაში თანამშრომლობის თვალსაზრისით. მიუხედავად სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნისა, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მაინც არსებობს საჯარო სფეროები, სადაც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერო და საეკლესიო ინსტიტუტების საქმიანობა.

განხილულია 2001 წ.-ის 9/11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შედეგად განვითარებული პოლიტიკური რეალობა, რაც ხასიათდება ტრანსატლანტიკური სოლიდარობით. ყურადღება ეთმობა პოლიტიკური ისლამის აღმავლობის ფენომენს, რაც გამოიხატა თალიბანის რეჟიმის დამყარებით ავღანეთში (1997-2001წწ.) ისევე, როგორც ჯიჰადისტთა დაჯგუფებების შექმნით.

აქვე ყურადღება გამახვილებულია 1978-79 წწ.-ის ირანის რევოლუციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომელიც ისლამური რელიგიის აღორძინების კლასიკური მაგალითია და მიზნად ისახავდა ირანის გარდაქმნას თეოკრატიულ

სახელმწიფოდ. ხაზგასმულია, რომ ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა გლობალურ გეოპოლიტიკაში. ამავე კონტექსტში გაანალიზებულია ის ფაქტი, რომ 1980- 90-იან წლებში ისლამურმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ ისლამიზაციას, უპირატესობა მოიპოვეს თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანაში.

ამავე თავის მეორე ქვეთავში, რომლის სათაურია **„არასახელმწიფოებრივი აქტორების არსი, განმარტება და მათი ტიპოლოგია“,** შესწავლილია არასახელმწიფოებრივი აქტორები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოსაგან განსხვავებულ წარმონაქმნს. ისინი მოქმედებენ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. აღნიშნულ კონტექსტში შესწავლილია სუბიექტებიცა და ობიექტებიც, რომლებშიც მოიაზრებიან ფართო სპექტრის ორგანიზაციები და ინსტიტუტები გლობალურ, ქვერეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. მათ ჩამონათვალში საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან ერთად, ასევე, შედიან კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დე ფაქტო რეჟიმები, სავაჭრო ასოციაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ტერორისტული დაჯგუფებები და ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციები.

ასევე განხილულია არასამთავრობო აქტორების სტრუქტურა, პრინციპები და ინტერესთა სფეროები ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი და ის სტანდარტები, რომლებიც გულისხმობს ადგილობრივ სამართალს, ქცევის კოდექსსა და ჩვეულებითი სამართლის ნორმებს არასახელმწიფოებრივი აქტორების საქმიანობის გასაანალიზებლად. ამავე კონტექსტში განხილულია არასახელმწიფოებრივი აქტორების ტაქსონომიის საკითხი საგარეო პოლიტიკის კვლევის სფეროში, რომელიც მოიცავს არასამთოვრობო ორგანიზაციებს (NGO), მულტინაციონალურ საწარმოებს (MNE), სამთავრობათშორისო ორგანიზაციებს (IGO), და ისეთი დაჯგუფებების ფართო სპექტრს, როგორებიცაა შეიარაღებული არასამთავრობო აქტორები (NSA), მკვიდრი

მოსახლეობა, კრიმინალური და ტერორისტული ორგანიზაციები და სოციალური მოძრაობები. აღნიშნულია, რომ არასახელმწიფოებრივი აქტორების განსაზღვრა და მათი ფენომენის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ სამართლის, პოლიტიკის ან თუნდაც სოციალური პერსპექტივიდან.

აღნიშნულ ქვეთავში ყურადღება ექცევა იმ ფაქტორსაც, რომ საგარეო პოლიტიკის ჭრილში არასახელმწიფოებრივი აქტორების მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ ისინი სახელმწიფოების „კონკურენტი" აქტორები არიან და მონაწილეობას იღებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირების ჰიბრიდულ ფორმებში.

შესწავლილია ის საკითხიც, რაც უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვან აქტორებზე - ეროვნულ მთავრობებზე იმ აქტორების გავლენას, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს. აქვე გაანალიზებულია ტრანსნაციონალური აქტორების ტიპოლოგია ისევე, როგორც საერთაშორისო სამთავრობათშორისო და რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროები.

განხილულია გლობალიზაციის პირობებში არსებული ვითარება მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით, რომელიც სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება. ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დღეს უფრო ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი, ვიდრე ამას მხოლოდ ეროვნული მთავრობების კომპეტენცია და საქმიანობა გულისხმობს.

რაც შეეხება მესამე ქვეთავს - „პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები და „ცივილიზაციათა შეჯახების" თეორიის რეალობა", მასში შესწავლილია პოსტ-ბიპოლარული გეოპოლიტიკური ტრანზიციის ეპოქა რადიკალური ისლამის კონცეფციების რეალიზების თვალსაზრისით. აღნიშნულია, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტების ორგანიზატორებად და შემსრულებლებად მიჩნეულმა რადიკალურმა ისლამურმა

დაჯგუფებებმა, ახალი, უკიდურესად საშიში ტენდენცია შეიტანეს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკაში.

განხილულია ცივი ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი დრამატული ცვლილებები სხვადასხვა ხალხების მიერ მათი იდენტობის აღქმასთან დაკავშირებით. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მსოფლიო პოლიტიკის ფორმირება ყალიბდება კულტურული საზღვრების გათვალისწინებითაც. აღნიშნულია, რომ კულტურამ და კულტურულმა თვითმყოფადობამ, რომლებიც უფრო ფართო კონტექსტით მიემართება სხვადასხვა ცივილიზაციას და მასთან დაკავშირებულ განსხვავებულ იდენტობებს, შესაძლოა, ერთი მხრივ, შეასრულოს შემაკავშირებელი ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, მიზეზი გახდეს დაპირისპირებისა განსხვავებულ იდენტობებს შორის, რაც შეიძლება მწვავე კონფლიქტების სახით გამოვლინდეს.

ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტის შესახებაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პოლიტიკა მულტიპოლარული და მულტიცივილიზაციურია და, რომ ძალთა ბალანსი ცივილიზაციებს შორის იცვლება.

აქვე განხილულია ის ტენდენციაც, რაც უკავშირდება აზიური ცივილიზაციების მიერ მათი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალის ზრდას, ისევე, როგორც ისლამური ცივილიზაციის გაფართოების პროცესს დემოგრაფიული თვალსაზრისით, რასაც თან სდევს დესტაბილიზაციის შემთხვევები ისლამური სახელმწიფოებისა და მათი მეზობლებისათვის. აღნიშნულ კონტექსტში ყურადღება, ასევე, გამახვილებულია არადასავლური ცივილიზაციების ორიენტირებულობის შესახებ კულტურულ ღირებულებებზე, რაც საფუძველი ხდება ცივილიზაციათა შორის დიალოგზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისა. დღის წესრიგში დგება მონათესავე კულტურის მქონე საზოგადოებების ერთმანეთთან უფრო აქტიური თანამშრომლობა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ცივილიზაციათა შერწყმისა და აღრევის, ანუ მათი ერთმანეთთან ხელოვნურად დაკავშირების და მათ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნების

წაშლის მცდელობა, უდიდესი დაპირისპირების მიზეზად შეიძლება იქცეს იმის გათვალისწინებით, რომ აშკარაა ტენდენცია ერებისა და ხალხების გაერთიანებისა მათთვის საერთო ცივილიზაციის მქონე წამყვანი სახელმწიფოების ირგვლივ. ცივილიზაციათა შორის დაპირისპირების კონტექსტში, განხილულია შეიარაღებული კონფლიქტები ადგილობრივ დონეზე, რაც, ძირითადად, მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის არსებობს და აღნიშნულია, რომ ეს კონფლიქტები გავლენას ახდენს კულტურულად მონათესავე ხალხებსა და ქვეყნებზე, აერთიანებს მათ, რაც ფართო ესკალაციის საფრთხეს ქმნის და საგრძნობლად ართულებს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან ამ კონფლიქტების დეესკალაციის შესაძლებლობას.

ამავე ქვეთავში შესწავლილია სხვადასხვა ცივილიზაციის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულია, რომ დასავლურმა სახელმწიფოებმა: ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა, ავსტრიამ, გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვებმა, საფუძველი ჩაუყარეს მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემას დასავლური ცივილიზაციის შექმნით, რომელიც ხასიათდებოდა როგორც თანამშრომლობით, ისე ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების მცდელობით და ომების წარმოებითაც კი. ამავე დროს, დასავლური ერები გაფართოვდნენ, ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ისინი მონაწილეობდნენ დაპყრობით ომებში, ისევე, როგორც კოლონიზაციის პროცესში და გარკვეული გავლენა მოახდინეს სხვა ცივილიზაციებზე.

აქვე, ასევე, განხილულია გლობალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები „ცივი ომის“ პერიოდში და აღნიშნულია, რომ მისი დასრულების შემდგომ მსოფლიოში ხალხების განმასხვავებელი იდეოლოგიური, პოლიტიკური ან ეკონომიკური მახასიათებლები კულტურულმა ფაქტორმა შეცვალა. ხაზგასმულია პოლიტოლოგთა და ექსპერტთა ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რომ ტერორიზმი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს რომელიმე რელიგიასთან, მათ შორის, ისლამთან ან ამა თუ იმ კონკრეტულ ერთან თუ ხალხთან.

ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ცივილიზაციათა ტერიტორიული საზღვრების დადგენა ძალიან რთულია ისევე, როგორც მათი აღქმა თანმიმდევრულ მოქმედ აქტორებად. მიჩნეულია, რომ ჰანტინგტონისეული აღწერა ცივილიზაციათა შეჯახებისა მეტისმეტად აქცენტირებულია არადიფერენცირებულ კატეგორიაზე - ცივილიზაციაზე, ხოლო ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას სხვადასხვა მიმართულებაზე, რაც, ძირითადად, უკავშირდება კონფლიქტებს კულტურებს შორის, რომელთა განმსაზღვრელი არსებითი ფაქტორები შეიძლება არ იყოს შეფასებული სათანადოდ.

II თავის პირველ ქვეთავში, რომლის სათაურია **„მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების დილემა: რელიგია, დემოკრატიზაცია „არაბული გაზაფხული“ – „რბილი ძალის“ პოლიტიკური ენიგმა“,** შესწავლილია „რბილი ძალის“ ფენომენი, რაც უკავშირდება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გავლენის ინსტრუმენტებს. „რბილი ძალის“ თეორიის ფორმატში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკის სამი განზომილება: პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო, რომელთა გათვალისწინებით უფრო საფუძვლიანად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები და გამოიკვეთოს მისი კავშირი რელიგიურ ფასეულობებთან.

განხილულია ურთიერთკავშირი რელიგიასა და მეცნიერებას შორის. აღნიშნულია, რომ რელიგია და მეცნიერება არ უპირისპირდება ერთმანეთს.

ყურადღება, ასევე, გამახვილებულია რელიგიის სახელით მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებზე, რომელთა მიზანმიმართულმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა განსაკუთრებული საფრთხისშემცველი ხასიათი შეიძინა. ამ კონტექსტში შესწავლილია ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა, როგორებიცაა: „ალ-კაიდა“ და „ისლამური სახალიფო“.

აღნიშნულია, რომ ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მიმართულებაში დიდ ადგილს იკავებს რელიგიის ფენომენი, თუმცა ეს არის რელიგიის სუბიექტური აღქმა, რომელიც მათ მიერ ერთგვარ ფარად არის გამოყენებული საკუთარი რევანშისტული მისწრაფებების გასამართლებლად. ამ ვითარების ფონზე ქვეთავში შესწავლილია საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიცავს თავად ისლამი, როგორც სარწმუნოებრივი მოძღვრება, ძალადობისა და აგრესიისკენ მოწოდებას. განხილულია ისლამის სწავლების ძირითადი არსი ისევე, როგორც სუნიტი და შიიტი რელიგიური ლიდერების ოფიციალური პოზიციები, რაც ასახულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დეკლარაციებში. აღნიშნულია, რომ ისლამი, როგორც სარწმუნოებრივი მოძღვრება, არ შეიცავს ძალადობისკენ მოწოდებას და რომ ტერორისტული აქტების გამართლება ისლამური რელიგიის სახელით უკიდურესად მიუღებელია. ხაზგასმულია ის, რომ ტერორისტული ქმედებებისა და რადიკალიზმის ფაქტები მომდინარეობს არა საკუთრივ ისლამური სწავლებიდან, არამედ კონკრეტული ჯგუფებისა და პიროვნებების ტენდენციური მისწრაფებებიდან, რომლებიც მიზანმიმართულად ამახინჯებენ ისლამის მოძღვრებას, რათა რელიგია გამოიყენონ საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებების შესანიღბად და ტერორისტული აქტების გასამართლებლად.

ქვეთავში ასევე შესწავლილია საკითხი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ფართოდ გამოყენებული იმ მეთოდების შესახებ, რაც უკავშირდება - ერთი მხრივ - ტექნოლოგიური მიღწევების, მათ შორის, ინტერნეტსივრცის, მეორე მხრივ, უახლესი საბრძოლო ტექნიკის ათვისებასა და გამოყენებას.

აქვე, ასევე, აღნიშნულია რელიგიის როლის მკვეთრი ზრდის ტენდენცია საერთაშორისო ურთიერთობებში ისევე, როგორც დემოკრატიასა და რელიგიასთან დაკავშირებული თავსებადობის ასპექტები.

მეორე ქვეთავში, რომლის სათაურია **„რელიგიური ტრანსეროვნული აქტორების გავლენა მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობებზე - „ალ-კაიდას“ ფენომენი 9/11 მოვლენების შემდეგ“,** განხილულია მსოფლიოში დღეს არსებული ძირითადი რელიგიები: იუდაიზმი, მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი (თავისი სამი ძირითადი მიმდინარეობით: ლუთერანობა, კალვინიზმი, ანგლიკანობა), ასევე, მონოთეისტური რელიგიები; ირანული, ანუ დუალისტური რელიგიები; ინდური, იგივე დჰარმული რელიგიები და შორეული აღმოსავლეთის რელიგიები. აღნიშნულია, რომ რელიგია თავის უმთავრეს დანიშნულებასთან ერთად, ხშირად, გამოიყენება როგორც „რბილი ძალა“, რომელიც მოიცავს ისეთი შესაძლებლობების ერთობლიობასაც, როგორებიცაა რეპუტაცია, კულტურა, ფასეულობები. რელიგიის გამოყენება „რბილი ძალის“კონტექსტში ემსახურება ამა თუ იმ სახელმწიფოს კონკრეტულ მიზნებს.

ყურადღება გამახვილებულია სახალხო დიპლომატიის ეფექტიანი განხორციელების ტენდენციაზეც მრავალწახნაგოვანი დიპლომატიისა და „რბილი ძალის“ კონტექსტში. რელიგიას, რომელიც არ არის მოქცეული ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში, განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე. აღნიშნულია, რომ „ალ-კაიდას“ მიერ დეკლარირებული მიზნები და იდეოლოგია ეფუძნება ისლამური ფუნდამეტალისტების არასწორ ინტერპრეტაციას რწმენის საკითხებთან დაკავშირებით. ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლის საფუძველზე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტერორიზმი კვლავ რჩება 21-ე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის უმთავრეს გამოწვევად.

მესამე ქვეთავში, რომლის სათაურია **„ისლამური სახალიფოს“ საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის სპეციფიკა და „რბილი ძალის“ რელიგიური ფაქტორი - შემთხვევის გარჩევა“,** შესწავლილია „ისლამური სახალიფოს“ მიერ საინფორმაციო ომის, პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და სხვა საშუალებების გამოყენების

სპეციფიკა. აღნიშნულია, რომ „ისლამურმა სახალიფომ“ განავითარა და დახვეწა თავისი მედიასისტემა, აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის მედიაპროექტებს არალეგალური სახსრებისა და პროფესიონალი კადრების ფართო რესურსების მობილიზებით.

ამასთან ერთად, ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია დაჯგუფება „დაეშის“ მიერ ინტერნეტსივრცისა და სოციალური ქსელების ინტენსიური გამოყენების შემთხვევებზე არა მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების იდეების გასავრცელებლად, არამედ თავისი მხარდამჭერების მსოფლიო მასშტაბით კონსოლიდაციისა და ტერორისტულ საქმიანობაში მათი ჩაბმის მიზნით. ხაზგასმულია ის ფაქტი, თუ როგორ ცდილობენ ტერორისტული ორგანიზაციები სოციალური ქსელების გამოყენებით ახალ თაობას ჩაუნერგონ მათთვის ხელსაყრელი ძირითადი ფუნდამენტალისტური იდეოლოგია.

აქვე, ასევე, ყურადღება გამახვილებულია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შექმნილი ყველაზე აქტუალური ვებგვერდების შესახებაც. აღნიშნულია, რომ მათ მიერ განხორციელებული საინფორმაციო პროპაგანდა გლობალური მასშტაბით ვრცელდება, მათ შორის, საქართველოს მოსახლეობაშიც. აღნიშნულმა ქმედებებმა განსაკუთრებული აქტუალურობა შესძინა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს იმის გათვალისწინებით, რომ საინფორმაციო ომი და საბრძოლო იარაღად მედიასაშუალებების გამოყენება მათი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარ კომპონენტს შეადგენს. აღნიშნულ კონტექსტში, ასევე, მიმოხილულია ექსპერტთა მოსაზრებები ამ ურთულეს გამოწვევასთან დაკავშირებით. საგანგებო ყურადღება დათმობილი აქვს იმ ფაქტს, რომ ინტერნეტსივრცის მომხმარებლების უმეტესობა ახალგაზრდობაა, რომელთათვისაც ინფორმაციის მთავარი წყარო, სწორედ, გლობალური ქსელია, რომელიც, ამავე დროს, ტერორისტული ორგანიზაციებისთვის იდეალური სამოქმედო არეალია, რადგან მათზე ცენზურისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება დიდ

სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამავე კონტექსტში ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ „რბილი ძალის“ გამოყენების თვალსაზრისით ტერორისტული ორგანიზაციების აქტიურობის მასშტაბები სულ უფრო მეტად იზრდება, რაც დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს. წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურები უწყვეტ რეჟიმში ეწევიან ინტერნეტსივრცის მონიტორინგს, რათა ტერორისტული საფრთხეების პრევენციით შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

III თავის პირველ ქვეთავში, რომლის სათაურია **„პოსტ-ბიპოლარული პერიოდის „თანამშრომლობის უსაფრთხოების“ გეოპოლიტიკური მოდელირება „თანამშრომლობითი“ არასახელმწიფოებრივი აქტორების გეოპოლიტიკური ასპექტები“,** შესწავლილია არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩართულობის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია პოს-ტბიპოლარულ პერიოდში. აღნიშნულია, რომ არასახელმწიფოებრივ აქტორებს შეუძლიათ როგორც კონფლიქტების წარმოქმნა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისე პოზიტიური წვლილის შეტანა მსოფლიოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში. აღნიშნულ კონტექსტში განხილულია საკითხი „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ გარანტორი საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ისეთი საკითხებისა და გამოწვევების გადაჭრის პროცესში, როგორებიცაა ტერორიზმი, არალეგალური მიგრაცია, კიბერტერორიზმი, მდგრადი განვითარება, სამეცნიერო ტექნოლოგიები. აღნიშნულია, რომ „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ ითვალისწინებს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, კონფლიქტების პრევენციას ან მისი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მექანიზმებს. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო მეტად შესამჩნევია ნაციონალური და გლობალური ინტერესების გადაკვეთის წერტილები. შესამჩნევია გლობალური ინტერესების წინ წამოწევის ტენდენციებიც იმ აზრის გათვალისწინებით, რომ იგი უპირატეს ადგილს იკავებს საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვაში, რაც,

უმთავრესად, „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ უზრუნველყოფის მიზნით არის განპირობებული.

განხილულია ახალი სახის აქტორების გავლენების ზრდის ტენდენცია და მათგან მომდინარე საფრთხეების შესწავლა-გაანალიზების მნიშვნელობა, რაც უაღრესად აქტუალურია როგორც თანამედროვე პოლიტოლოგებს შორის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოღვაწე მეცნიერებისთვის. აღნიშნულ კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია როგორც თანამშრომლობით არასახელმწიფოებრივ აქტორებზე (რომლებსაც დადებითი წვლილი შეაქვთ სტაბილურობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში), ისე აგრესიულ არასახელმწიფოებრივ აქტორებზე (რომლებიც არალეგიტიმური გზებით ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღწევას, რათა მოიპოვონ ძალადობრივი მონოპოლია სახელმწიფოზე ან თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ სხვა აგრესიული აქტორები). აღნიშნულია, რომ რეგიონული „ცხელი წერტილები“ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგზე.

ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოების მიერ დაკანონებულ საზღვრებთან დაკავშირებულ დავებს, რაც იწვევს დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე.

გაანალიზებულია სირიისა და ავღანეთის კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებმაც ნათლად აჩვენა, რომ აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების ქმედებები მასობრივი ძალადობისკენ არის მიმართული. ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზეც, რომ არასახელმწიფოებრივი აქტორების მოქმედების მასშტაბები, სამხედრო დაგეგმვისა და მართვის კუთხით, უმეტეს შემთხვევაში, თანაზომიერია სამთავრობო ძალებისა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების სტანდარტებისა. აღნიშნულია, რომ აგრესიული

არასახელმწიფოებრივი აქტორების ასეთი სიძლიერე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს „თანამშრომლობითი უსაფრთხოებისთვის“.

ასევე, განხილულია „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ საკითხი რიჩარდ კოენის მოდელის მიხედვით, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების ოთხ რგოლს: ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა, სტაბილურობის შენარჩუნება. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ მიისწრაფვის საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისაკენ, რომლის მნიშვნელოვან ასპექტს, ასევე, წარმოადგენს „მდგრადი უსაფრთხოება“, რაც მოიცავს პრევენციულ ღონისძიებებს, ესკალაციის მინიმალურ დონემდე შემცირებას შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ სტრატეგია ეფუძნება „რეგიონული უსაფრთხოების“ ფაქტორს და ითვალისწინებს გლობალურ გამოწვევებთან დაპირისპირებას სხვადასხვა რეგიონში.

მეორე ქვეთავში, რომლის სათაურია **„გეოპოლიტიკური რენესანსი XX საუკუნის კოლექტიური უსაფრთხოების პირობებში: ვატიკანის როლი გლობალურ პოლიტიკაში“,** შესწავლილია საკითხი კოლექტიური უსაფრთხოების არსებობის საფუძვლების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს მოსალოდნელი ომების თავიდან აცილებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას. აღნიშნულია, რომ კოლექტიურ უსაფრთხოებაში მოიაზრება კონცეფცია „თანამშრომლობითი უსაფრთხოებისა“, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას საერთო მიზნებისა და გამოწვევების საფუძველზე ისევე, როგორც განუხრელ ზრუნვას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. აღნიშნულ კონტექსტში განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების (UN, EU, NATO) როლი კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში. აღნიშნულია, რომ კოლექტიურ უსაფრთხოებასთან

დაკავშირებული საკითხები მუდმივ ცვალებადობას განიცდის იმის მიხედვით, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას იგი გლობალური მასშტაბით.

განხილულია საკითხი გავლენიანი არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორების როლსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ მათ შეუძლიათ როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საერთაშორისო დონეზე, ისე პოზიტიური წვლილის შეტანა დაპირისპირების, კონფლიქტების პრევენციასა და განმუხტვაში. აღნიშნულ კონტექსტში შესწავლილია ვატიკანის როლი კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში.

მესამე ქვეთავში, რომლის სათაურია **"რელიგია და სახელმწიფო, ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობითი მოდელი საქართველოს მაგალითზე",** შესწავლილია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ასპექტები. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა ევროპის მრავალ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება და მას შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი აქვს. საქართველოში დღეს არსებული მოდელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობისა კონსტიტუციური შეთანხმების კონტექსტში, უნიკალურია. მის მთავარ ღირსებად მიჩნეულია ის გარემოება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლისა და სტატუსის განსაზღვრასთან ერთად, იგი არ ზღუდავს სხვა რელიგიების უფლებებს და საფრთხეს არ უქმნის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას.

ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი იტორიის განმავლობაში, რაც ობიექტურად არის ასახული საქართველოს კონსტიტუციაშიც. წმინდა ეკლესიის ეს უდიდესი ღვაწლი გულისხმობს როგორც სულიერ მხარეს (მაცხოვნებელი მოძღვრებით ქართველი ერის განმსჭვალვას, მასზე საღვთო ნათლის მიფენას, სულიერ აღორძინებას, იმ ფასეულობების დაცვას, რაზეც დამიკიდებულია

ერის ცხოველმყოფელობა და ღმერთთან ჭეშმარიტი ერთობის მიღწევა), ისე ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და მის განვითარებაზე ზრუნვას, პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობას. აღნიშნული ფაქტი ქვეთავში გამყარებულია სათანადო ისტორიული მასალის დამოწმებით. განხილულია საკითხი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ჰარმონიული ურთიერთობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე. აღნიშნულია, რომ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ისწრაფვოდა სახელმწიფოსთან ერთად მტკიცედ დამდგარიყო ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის დასაცავად. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრები თავიანთ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდნენ ორი უმთავრესი პრინციპით, რაც გულისხმობს, როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების უბიწოდ დაცვას, ისე ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და განვითარებაზე ზრუნვას. ამ კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის უდიდეს ღვაწლზე ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე. აღნიშნულია, რომ ეკლესიის როლი ჩვენი ქვეყნისთვის დღესაც განსაკუთრებულია და, მიუხედავად ანტიეკლესიური ძალებს დაპირისპირებისა, რომლებიც მის დისკრედიტაციასა და დაკნინებას ცდილობენ, წმინდა ეკლესია, თავისი მოწოდების შესაბამისად, უშურველად მოღვაწეობს ქართველი ერის სულიერი განწმენდის, განათლების, აღორძინებისა და ცხონებისათვის.

დასკვნა

დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური სისტემისთვის მთავარი ქვაკუთხედი საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევა გახდა და, საერთაშორისო პროცესების გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ უსაფრთხოების პრობლემების შეფასებაზე მოდის.

აღნიშნული ფაქტორი იოლად აიხსნება, რადგან უსაფრთხოება გლობალიზებულ სამყაროში ძალიან კომპლექსური, მრავალწახნაგიანი და მრავალფეროვანი გახდა. პოლიტიკურ ლექსიკონში შემოვიდა და დამკვიდრდა ისეთი ტერმინიც კი, როგორიცაა "რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი", რომლის შესახებ მეცნიერები დღეს განსაკუთრებით აქტიურად მსჯელობენ. პოსტბიპოლარულ ეპოქაში კარდინალურად შეიცვალა არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკური, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების ვითარება, და დღის წესრიგში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის საკითხი დადგა. ამიტომაც საკმაოდ რთული გეოსტრატეგიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გეოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც შეიქმნა „ცივი ომის" პერიოდში და მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი „სტრუქტურირებული წესრიგის" მოთხოვნებზე.

21-ე საუკუნეში სამეცნიერო-ტექნიკურ და ინტელექტუალურ პროგრესს განაპირობებს სახელმწიფოს ძლიერება ტექნოლოგიების კუთხით, ის ქვეყნები კი, რომლებიც ამ მხრივ განვითარებულნი არ არიან, მოწინავე პოზიციებს ვერ დაიკავებენ. ამავე დროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ინფორმირებულობას, რადგან საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის შემთხვევაში, გამარჯვება მათ მხარესაა, ვინც უპირატესობას ფლობს საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით. ინფორმაციის მნიშვნელობა, ასევე, დიდია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვისაც. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ინფორმაციის გავრცელებასა და მისი ზემოქმედების უნარს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. თუმცა გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ

დღეს თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელების წყაროებმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების შემთხვევაში, არცთუ იშვიათად, გადამწყვეტ როლს თამაშობს ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია, რაც ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა და უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების ფართო მასებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ უსაფრთხოება ჩვენს დინამიურ ეპოქაში უფრო მეტად „ტექნოფიცირებული“ გახდა და ნებისმიერი დონის ტექნოლოგიები, მათ შორის, პოლიტიკური, სამხედრო, სამრეწველო-ეკონომიკური და, განსაკუთრებით, საინფორმაციო, იქცა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების განმსაზღვრელ და უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელთა სათანადოდ შეფასებისა და აღქმის გარეშე, უაღრესად რთული იქნება საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების სწორი ანალიზი და პროგნოზირება.

21–ე საუკუნეში არსებული საერთაშორისო ვითარებით, უსაფრთხოების სფეროს ყოველთვის თან ახლავს მუქარა, რომელიც არ შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ უსაფრთხოების დაცვის ტრადიციული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. კიბერ-თავდასხმა, საერთაშორისო ტერორიზმი, მეკობრეობა, ენერგომოწყვლადობა და, ასევე, ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფები წარმოადგენს მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევას, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს. აქვე, შესაძლებელია, განვსაზღვროთ შემდეგი კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოზე:

პირველ ფაქტორად გამოიყოფა ის გარემოება, რომ არასახელმწიფოებრივი აქტორები უშუალო გავლენას ახდენენ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე არსებულ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო არასამთავრობო

ორგანიზაციები) ურთიერთქმედებას. სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები, გარემო ფაქტორების მიუხედავად, როცა თანაბრად არსებობს კონფლიქტისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა. ფაქტია, რომ წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ შეიმუშაონ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კონფლიქტის აღმოფხვრისა და გადაჭრის მექანიზმები. აღნიშნულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოებს, რომლებიც, ასევე, განსაზღვრავენ ურთიერთთანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებსა და წესებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების შიგნით, ისე, ზოგადად, საერთაშორისო სისტემაში. ანალოგიური სახის მისიის შესრულება ხელეწიფებათ არასახელმწიფოებრივ აქტორებსაც, როგორებიცაა, მაგალითად, საერთაშორისო არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით; ასევე, საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებსაც, რომლებიც არაფორმალურად, ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ დაამკვიდრონ თავიანთი წესები საერთაშორისო პოლიტიკაში. აღნიშნული რომ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, შეიძლება დადასტურდეს იმ ტრაგიკული შემთხვევით, რომელიც ეხება 9/11-ის მოვლენებს, როდესაც არასახელმწიფოებრივი აქტორი, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-კაიდა“, თავს დაესხა საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთ მთავარ განსამზღვრელ აქტორს - აშშ-ს - და სახელმწიფოთაშორისო კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციამ, ნატომ, პირველად პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში, აამოქმედა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი;

მეორე ფაქტორს წარმოადგენს უკვე რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩართულობა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, რაც განპირობებულია რელიგიის აღორძინების მზარდი მასშტაბებით მთელს მსოფლიოში. ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი შეამცირებდა რელიგიის გავლენას საზოგადოებაზე, არ გამართლდა. პირიქით, სულ უფრო მეტად იზრდება რელიგიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად პრეცედენტულია დაპირისპირება და საერთაშორისო კონფლიქტები, რომელთა გამომწვევ მიზეზადაც რელიგიით მანიპულირება სახელდება. რელიგია, უმეტეს შემთხვევაში, არ არის მოქცეული ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში და მას განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე. არსებობს მსოფლიო რელიგიათა პარლამენტი, რომელიც ცდილობს მშვიდობიანი და ერთიანი ფასეულობების გარშემო გააერთიანოს რელიგიური ლიდერები. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, კონფლიქტურ სიტუაციებში მიაღწიონ მხარეთა შორის დიალოგს, რისი ყველაზე კარგი საშუალებაც არის მრგვალი მაგიდის ფორმატის გამოყენება, როდესაც, პოლიტიკურ ლიდერებთან და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებთან ერთად, მასში მონაწილეობას იღებენ რელიგიური ლიდერებიც, როგორც ეს მოხდა ბოსნია-ჰერცოგოვინისა და კოსოვოს მაგალითზე. რელიგიური ფაქტორის როლი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რეგიონალური კონფლიქტების პრევენციასა და მათი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში. რელიგიური ფენომენით განსაკუთრებულ დაინტერესებას განაპირობებს ორი უმთავრესი მიზეზი: თუ, ერთი მხრივ, აშკარაა, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევების პოზიტიურ გადაწყვეტაში, მეორე მხრივ, არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორების საქმიანობა დიდ შეშფოთებას იწვევს. აშკარაა ტენდენცია იმისა, რომ რელიგიურ ლიდერთა გავლენა მსოფლიოში თანდათანობით იზრდება. მსოფლიოში არსებული კონფლიქტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება რელიგიურ ფენომენს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსები და გადაწყვეტილებათა მიმღებნი აცნობიერებენ, თუ რამდენად დიდი აუცილებლობა ჩნდება იმისა, რომ რელიგიურმა ლიდერებმა აქტიური და ქმედითი მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონფლიქტის პრევენციასა და მათი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაში. მათი როლი, ასევე,

განსაკუთრებულია ცივილიზაციათა დიალოგის წარმართვაში, რაც საფუძველი უნდა გახდეს განსხვავებული რელიგიების, კულტურებისა და ცივილიზაციების ურთიერთთანამშრომლობისა და არა - დაპირისპირებისა. ის, რომ მილიონობით ადამიანი აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას და მათ უფრო მეტად ესმით თავიანთ რელიგიური ლიდერების ხმა, ვიდრე პოლიტიკოსებისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან რელიგიურ ლიდერთა ურთიერთთანამშრომლობით, რაც არ უკავშირდება ამა თუ იმ რელიგიის სარწმუნოებრივ და დოგმატურ საკითხებს, არამედ ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, როგორიცაა მშვიდობა, შემწყნარებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა, შესაძლებელია მიღწეულ იქნას როგორც კონფლიქტების თავიდან აცილება, ისე მისი დარეგულირება ძალადობრივი მეთოდების გამოყენების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ძირითადი რელიგია სიყვარულს, მიმტევებლობას, სიკეთეს ასწავლის და, როგორც ოფიციალური მონაცემებით დასტურდება, ძალზე დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ამ რელიგიების მიმდევარნი არიან; ნაცვლად იმისა, რომ ყველაფერ ამის შედეგი სასურველი იყოს, რელიგიის მიმდევართა შორის ხშირია წინააღმდეგობა და მწვავე დაპირისპირებაც კი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სხვადასხვა რელიგიასა და კულტურაში არსებობენ ისეთი რადიკალური ჯგუფები, რომლებიც ახალისებენ და სულიერად ასაზრდოებენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, ხელს უწყობენ ფანატიზმის აღორძინებასა და შიდა დაპირისპირებებს, ხოლო ძირითადი რელიგიების დადებითი როლი, რაც თავად ამ რელიგიების არსებას განაპირობებს სამოძღვრო კუთხით, დღემდე არ არის სათანადოდ ისე გამოყენებული, რომ შედეგი სრულყოფილი თუ არა, მასთან მიახლოვებული მაინც იყოს. მსოფლიოში შექმნილი ვითარება ნათლად აჩვენებს, რომ, როდესაც საუბარია მწვავე კონფლიქტების პრევენციასა და მათი მშვიდობიანი გზით გადაჭრაზე, პოლიტიკოსებთან ერთად, რელიგიური ლიდერების ჩართულობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რათა მათი მონაწილეობით შესაძლებელი გახდეს, როგორც დაპირისპირებულ ჯგუფებს, ისე ერებს შორის ნდობისა და

ურთიერთპატივისცემის აღდგენა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კაცობრიობის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რელიგიურ ლიდერებსაც, რასაც თანამედროვე მსოფლიო უკვე აცნობიერებს. სამწუხაროდ, რელიგიის სახელს ამოფარებული არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები მანიპულირებენ რელიგიით თავიანთი უმძიმესი ძალადობრივი ქმედებების, მათ შორის, ტერორისტული აქტების, გასამართლებლად. მათ დანაშაულებრივ საქმიანობას არავითარი კავშირი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რელიგიასთან; თუმცა ამგვარი აქტორების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად აზიანებს იმ სარწმუნოების იმიჯს, რომლის სახელითაც ისინი მოქმედებენ. მსოფლიოს საზოგადოებრიობას ჰმართებს დიდი ძალისხმევის გამოჩენა, რათა, უპირველესად, განათლებითა და ცივილიზაციათშორისი დიალოგის გზით, ისევე როგორც სხვა პრევენციული საშუალებებით, დაუპირისპირდეს ამგვარი აქტორების იდეოლოგიასა და საქმიანობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ისინი საკმაო წარმატებით იყენებენ „რბილი ძალის“ ფენომენს.

მესამე ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ „რბილი ძალის“ კონცეფცია, რომელიც უაღრესად პოპულარულია საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების სამეცნიერო-აკადემიურ მიმართულებებში. აღნიშნული კონცეფცია უკავშირდება ამერიკელ პოლიტოლოგსა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს, ჯოზეფ ნაის. „რბილი ძალის“ ინსტრუმენტების ეფექტიანად ათვისებამ და გამოყენებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემის, ნდობის და ურთიერთგაგების ილუზიის შექმნას და, ასევე, საშუალება მისცეს გარკვეული სახის აქტორებს, მათ შორის, არასახელმწიფოებრივ აქტორებსაც, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ პროცესებზე გლობალურ და რეგიონულ დონეებზე. „რბილი ძალის“ კონცეფცია, ძირითადად, მოიცავს კულტურული, იდეოლოგიური და სოციალური გავლენის ელემენტებს და მათ პროპაგანდას, რაშიც, რა თქმა უნდა,

მოიაზრება რელიგიური ღირებულებების და ცნობიერების ასპექტების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. „რბილი ძალის“ წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს აქტორი მის მიერ დასახულ მიზანს და მისი განხორციელების გზებს. ზოგიერთ შემთხვევაში „რბილი ძალის“ კონცეფცია და მისი ინსტრუმენტები გამოიყენება სტრატეგიული სტაბილურობის მოწყვლადობისა და პოლიტიკური ძალადობის განხორციელებისთვის, რის მაგალითსაც არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორი, საერთაშორისო ტერორისტული გაერთიანება - „ისლამური სახალიფო“ - წარმოადგენს.

მეოთხე ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ „თანამშრომლობითი რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორები“, რომლებიც, საკუთარი ლეგიტიმაციის ფარგლებში, არსებით მოწოდებასთან ერთად, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ სამშვიდობო პროცესებს მსოფლიო თანამშრომლობითი უსაფრთხოების კონტექსტში. შეუძლებელია ყველა იმ რელიგიური მიმდინარეობის აღნუსხვა, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამ კუთხით, თუმცა მაინც შეიძლება გამოვყოთ მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი, რომელიც, თავისი მაცხოვნებელი მოღვაწეობით, ქმნის ერებსა და ხალხებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, შემწყნარებლობის, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის, ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს. წმინდა ეკლესია მის ხელთ არსებული ყველა სამშვიდობო საშუალებით მიისწრაფვის საღვთო მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ და ამ მიზნით აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფოებთან, ისე სხვადასხვა რელიგიურ კონფესიასთან. სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის კუთხით, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რომის კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც, თავისი მრავალრიცხოვანი მრევლით, ისევე როგორც კარგად ორგანიზებული დიპლომატიური მისიებით, ფლობს ფართო შესაძლებლობებს ზემოქმედება

მოახდინოს მსოფლიო საზოგადოებრიობაზე თანამშრომლობითი უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფაში, ასევე, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს იუდაიზმს, როგორც უძველეს მონოთეისტურ რელიგიას.

ამ პროცესებში, ასევე, ჩართულნი არიან სხვა ძირითადი რელიგიები, მათ შორის, ისლამი, რომლის წინაშეც, ბოლო პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორი ისლამის სახელით მიმართავს ძალადობასა და ახორციელებს ტერორისტულ აქტებს, განსაკუთრებით გამოიკვეთა საჭიროება, იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ ტერორიზმს რელიგია არ გააჩნია და, რომ რელიგიის სახელით მოქმედი არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორების ძალადობრივი ქმედებების გაიგივება ისლამთან დაუშვებელია. სწორედ ამ მიზნით არის განპირობებული ბოლო პერიოდში მუსლიმი რელიგიური ლიდერების აქტიურობა სხვადასხვა კუთხით, მათ შორის, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად, ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგების, ასევე, განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით და ამ კონფერენციებზე მიღებული დეკლარაციების გავრცელებით, იმის ნათელსაყოფად, რომ ისლამისთვის, როგორც სარწმუნოებრივი მოძღვრებისთვის, ძალადობა მიუღებელია.

ამდენად, თუ, ერთი მხრივ, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, უკიდურესად მიუღებელია რელიგიური გლობალიზმი, რომელიც უგულებელყოფს საღვთო ჭეშმარიტებას, ეკლესიის დოგმატურ და კანონიკურ სწავლებას და ხელოვნურად ცდილობს სხვადასხვა რელიგიის გაერთიანებას მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელი იმ აზრის საფუძველზე, რომ, თითქოს, არც ერთი რელიგია არ ფლობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, თავს ახვევს მათ განსხვავებულ მსოფლმხედველობას, რომელიც უცხოა ამა თუ იმ რელიგიისათვის, არა მხოლოდ სრულიად უშედეგოა, არამედ გადაულახავ

წინააღმდეგობას იწვევს, რადგან ეს არის უგულებელყოფა იმ უმთავრესი სწავლებისა და ნიშან-თვისებებისა, რაც განსაზღვრავს, როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების არსს, ასევე სხვა რელიგიების მოძღვრებით მხარეს. მეორე მხრივ, რელიგიებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ განსხვავებული მრწამსი სარწმუნოებრივ-დოგმატურ-კანონიკური სწავლების თვალსაზრისით, გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში, შეუძლიათ ითანამშრომლონ მშვიდობიანი თანაარსებობისა და ტოლერანტული გარემოს უზრუნველსაყოფად, ყოველგვარი კომპრომისის გარეშე საკუთარ რელიგიურ სწავლებასთან მიმართებით. ამ პროცესში კი, თანამშრომლობითი რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი ძალიან დიდია და მათ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ სამშვიდობო პროცესებისა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის ხელშეწყობისათვის, რასაც, თანამშრომლობითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ალტერნატივა არ გააჩნია.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განსაზღვრული ჰიპოთეზა, ჩატარებული კვლევის შედეგად, სრულად დადასტურდა, კერძოდ:

<u>საერთაშორისო ურთიერთობების ახალი აქტორები, განსაკუთრებით კი, არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორები, დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკის პროცესებში და გავლენას ახდენენ მსოფლიო წესრიგის პოლარულობის განსაზღვრაზე. ამავე დროს, მათ შეაქვთ თავიანთი წვლილი გლობალურ და რეგიონულ დონეებზე უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორები ქმნიან საერთაშორისო სისტემის, ერთი მხრივ, გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა და, მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური სტაბილურობისა და თანამშრომლობის წინაპირობას. ამიტომაც, შესაძლებელია, რომ მათ ქმედებებს ჰქონდეს ე.წ. „რბილი ძალის“ ეფექტი.</u>

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი სახის სამეცნიერო სიახლეები, რომლებმაც, შესაძლოა, გარკვეული წვლილი შეიტანონ რამდენიმე სამეცნიერო დარგის განვითარებაში, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს:

1. საქართველოში პირველად შესრულდა ნაშრომი მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევების ფორმატში (მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერების, გეოპოლიტიკის, უსაფრთხოების კვლევების, გეოსტრატეგიული კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების და ა.შ.). ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე: როგორ შეიცვალა გლობალური გეოპოლიტიკური გარემო; რა როლი ენიჭება „რბილი ძალის“ კონცეფციას და მის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიცაა რელიგია, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის განმტკიცების საქმეში; როგორ შეიძლება ამ ფაქტორის გამოყენება ახალი სახის ასიმეტრიული საფრთხეების ნიველირებისათვის;
2. გაანალიზდა, თუ როგორ ფუძნდება ახალი აქტორები, რომლებიც არ უკავშირდებიან სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ აქტორს, და რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისინი ამ პროცესებზე. სწორედ ამ კონტექსტში, წარმოდგენილ კვლევაში, პირველად განისაზღვრა ტერმინი „არასახელმწიფოებრივი აქტორი“, ასევე, მისი კიდევ უფრო თანამედროვე შესატყვისი - „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორი“ - და მისი კლასიფიკატორი (აგრესიული და თანამშრომლობითი რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების სახით). სადისერტაციო ნაშრომში, ასევე, არის პირველი მცდელობა ამ ტერმინების შემოტანისა პოლიტიკურ ლექსიკონში და, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკის ტერმინოლოგიურ სივრცეში, რაც უაღრესად აქტუალური თემაა საქართველოს პირობებში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით;
3. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში პირველად არის შესწავლილი საქართველოში რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების გავლენა უშუალოდ ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, განსაზღვრულია

მათი როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და წარმოჩენილია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და შიდა-პოლიტიკური პოტენციალის გაძლიერება, საქართველოს საპატრიარქოს მაგალითზე, რაც გულისხმობს, თუნდაც, განსაკუთრებული სტატუსის მქონე დოკუმენტის - კონსტიტუციური შეთანხების - გაფორმებას და ეკლესიის განსაკუთრებული როლის გამოკვეთას ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება-განმტკიცების კუთხით;

მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული პროცესების წარმართვის ტენდეციებს. ამ პროცესებში სტაბილური და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება და განვითარების პერსპექტივების განჭვრეტა საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ამის პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს დიდი ძალისხმევა ყველა იმ გამოწვევის დასაძლევად, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ტერიტორიული გამთლიანების პროცესს. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ფონზე საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური სტრუქტურები დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვაში. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია ცალკეული სახელმწიფოების შიდა და საგარეო პოლიტიკაში.

21-ე საუკუნის გლობალიზებული მსოფლიოს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფაში მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს: პრევენციული

ღონისძიებები, კრიზისების მართვა, მუდმივცვალებადი თავდაცვითი ღონისძიებები.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემა ეფუძნება კოლექტიური თანამშრომლობით მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებზეც გავლენას ახდენენ როგორც სახელმწიფოებრივი, ისე არასახელმწიფოებრივი აქტორები და, ასევე, აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისების პრევენცია და მათი დაძლევა არის გლობალური წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან თანამედროვე მსოფლიო რეგიონული კონფლიქტების თითქმის მუდმივი და გადაუჭრელი კრიზისის წინაშე დგას, რაც მას ახალი გამოწვევების პირისპირ აყენებს იმის გათვლისწინებით, რომ სწრაფ ტექნოლოგიურ წინსვლას და, ამ წინსვლასთან ერთად, უსაფრთხოების მუდმივ ცვალებადობას კიდევ უფრო მაღალ ნიშნულზე აჰყავს ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' როლი გლობალური მშვიდობის შენარჩუნებაში.

თუ პოლიტიკურ სისტემას წარმოვიდგენთ ერთ საერთო ორგანიზმად, რომელიც იზიარებს როგორც სამოქალაქო ინტერესებს, ისე საერთაშორისო თანამშრომლობით მიღწეულ გადაწყვეტილებებს, საბოლოოდ ვიღებთ ,,საერთო პოლიტიკურ სისტემას'', რაც თანამშრომლობითი პოლიტიკის და თანამშრომლობითი უსაფრთხოების შედეგია, რომელიც ძირეულად გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს სახელმწიფოთა მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადისერტაციო საბჭოზე, დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი):

1. კოლოქვიუმი#1 – პოსტმოდერნისტული გეოპოლიტიკის ეპოქის დასაწყისი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის თავისებურება 21-ე საუკუნეში;
2. კოლოქვიუმი#2 – „რბილი ძალის“ სტრატეგიის რეალიზაციის ნეგატიური გამოვლენის გეოსტრატეგიული ასპექტები აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების მაგალითზე: კონკრეტული შემთხვევების განხილვა (Case Study) „ალ-კაიდასა“ და „ისლამური სახალიფოს“ მაგალითებზე;
3. კოლოქვიუმი#3 – ,,თანამშრომლობითი‘‘ არასახელმწიფოებრივი რელიგიური აქტორები, როგორც მშვიდობის იმპლემენტაციის გარანტორები მულტიპოლარულ სამყაროში.

თემატური სემინარი (შესწავლილია დარგის/ქვედარგის აქტუალური საკითხი და არ ეხება დისერტაციის თემას)

1. „საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი 21-ე საუკუნის გლობალური უსაფრთხოების სისტემაში“.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1) გიორგი ზვიადაძე , ვახტანგ მაისაია- „მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორების გავლენის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები'' - POLITO/LOGOS (2020 Volume 2 ISSN:2667-9167 Tbilisi 2020 , Page:106)

2) გიორგი ზვიადაძე - „საერთაშორისო სისტემის ცვლილება 21-ე საუკუნეში'' - POLITO/LOGOS (Jule ,Tbilisi 2019 Volume1 ISSN:2667-9167 Page:34)

3) Giorgi Zviadadze – ,,THE BEGINNING OF THE POST-MODERN GEOPOLITICAL EPOCH AND THE PECULIARITIES OF THE SYSTEM OF CONTEMPORARY INTERNATIONAL RELATIONS IN THE 21th CENTURY'' – ANTE PORTAS Security Studies (No1(12) Poland 2019 Page: 111)

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:

1) Giorgi Zviadadze , Magdalena Beselia – ,,Post-Secular International Relations in Action and Religious Resurgence Phenomenon:Reality and Myth''- AMERICAN STUDIES PROGRAM BOOK (12th ANNUAL INTERNATIONAL RESEARCH CONFERENCE IBSU,December 2 , Tbilisi 2019 , Page:27)

Faculty of Social Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences
Right of Authority

George Zviadadze

"Religious Non-State Actors Role in the Processe of International Relations: Civilization Clash Realities in Geopolitical Transition Period"

Abstract of the Dissertation Presented for the degree of Doctor of Political Sciences

Tbilisi, 0141, Georgia
2021

Research Supervisor: **Vakhtang Maisaia**

Doctor of Political Sciences
Caucasus International University (CIU)
Professor

Official Reviewers:

Liana Melikishvili
Academician, Ph.D. in History
Academy of Sciences of Georgia

Tamar Kiknadze
Doctor of Political Sciences
Caucasus International University (CIU)
Professor

Defense of the Thesis will take place on November 10th, 2021, 15.00 p.m. at the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Social Sciences

Address: 0141, 73 Chargali Street, CIU Building I, Room 305

Acceptance of the Thesis is possible at the library of the Caucasus International University

Secretary of the Dissertational Board

Petre Mamradze
Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

The new world order, formed under the circumstances of globalization, has caused the formation of a new political system. Preventive factors, such as the management of crises and variable measures of defense, are crucial in securing general peace. In the contemporary political discourse, especially significant are those decisions made through collective cooperation. The above-mentioned process is largely influenced by state, non-state and aggressive non-state actors.

The present qualification thesis includes, on the one hand, discussion of the stages within which the term a "religious non-state actor" was formed, and, on the other hand, an analysis of the reasons which caused the emergence of these kinds of actors in the arena of international politics. The thesis also studies the extent of the rise of new threats and challenges, which may be anticipated within the context of the activities of religious non-state actors.

The role of religious non-state actors in the processes of international relations is also analyzed in the work; the realities of the clash of civilizations under the circumstances of geopolitical transition are defined.

As a result of the research, having considered three dimensions of the study, (the essence of post-secular international relations and the phenomenon of religious resurgence, the essence of non-state actors, their definition and typology, the contours of the new world order in the post-bipolar period and the reality of the theory of "clash of civilizations"), the beginning of the era of post-modernistic geopolitics and the peculiarities of the system of modern international relations are determined.

The geostrategic aspects of the negative manifestation of the implementation of the "Soft Power" strategy are analyzed in the example of aggressive non-state actors; a dilemma of security of world politics is thoroughly studied: Religion, democratization and the "Arab

Spring" – the political enigma of "Soft Power". Profound research is carried out on the influence of religious transnational actors on current international relations – the phenomenon of Al-Qaeda after September 9/11, the specifics of the information-propaganda war of the "Islamic Caliphate" and the religious factor of the "Soft Power" is manifested.

The thesis presents research of the role of "Cooperative Non-governmental Religious Actors" in the multipolar world, an analysis of geopolitical modeling of the "Security of Cooperation" in the post-bipolar period – geopolitical aspects of the phenomenon of "Cooperative Non-governmental Religious Actors". It studies the geopolitical renaissance under the circumstances of the 20th century collective security: the role of the Vatican in global politics, and successful cooperation between the Church and state is represented in the example of Georgia.

The research has proved that the role of religion is greatly increasing in international relations. Religion, in most cases, is not contained within the borders of any state, and it has a special place on the geopolitical map of the world.